ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება

საარქივო სამმართველო

384545 ბათუმი, ვ.გორგასალის ქ. № 126

ტელ: 27 52 10

N 01-24/760
06/12/2018

760--2-201812061441

სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად წარმოგიდგენთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოში საჯარო ინფორმაციის გაცემის მდგომარეობის შესახებ 2018 წლის ანგარიშს:

- 2017 წლის 7 დეკემბრიდან 2018 წლის 4 დეკემბრის ჩათვლით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოში (შემდეგში - საარქივო სამმართველო) საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ სულ შემოვიდა 15 მოთხოვნა, სრულად დაკმაყოფილდა 13 მოთხოვნა, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 2 მოთხოვნა - არ გაიცა ინფორმაციის ის ნაწილი, რომელიც შეიცავდა პერსონალურ მონაცემებს. საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის ფაქტს ადგილი არ ჰქონია. სამმართველოში არ შემოსულა საჯარო ინფორმაციის შესწორების არცერთი მოთხოვნა.

საარქივო სამმართველო დადგენილი წესის შესაბამისად სისტემატურად ახორციელებს საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებას საკუთარ (შესაბამის) ელექტრონულ რესურსზე;

- საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენდნენ იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი ინგა ხალვაში და იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მერი ცენტერაძე;

- საარქივო სამმართველო უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს პერსონალური მონაცემების შეგროვებას, დამუშავებასა და შენახვას. სამმართველოში დაცულია პერსონალური მონაცემები როგორც ელექტრონული, ისე - მატერიალური სახით. აღნიშნულ მონაცემებზე წვდომა აქვთ მხოლოდ იმ თანამშრომლებს, რომლებსაც, მათი სამსახურებრივი საქმიანობიდან გამომდინარე, უშუალოდ აქვთ მინიჭებული ამგვარი მონაცემების დამუშავებისა და შეგროვების უფლებამოსილება. ელექტრონული

მართვის სისტემაში არსებული პერსონალური მონაცემების უსაფრთხოება უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფორმაციულ-ტექნოლოგიური საშუალებებით, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს არაუფლებამოსილი პირებისათვის პერსონალურ მონაცემებზე წვდომას;

- საარქივო სამმართველოში თანამშრომელთა პერსონალური მონაცემების დამუშავებას აწარმოებს იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის სამსახური კანონიერი მიზნიდან გამომდინარე, ამ მიზნის პროპორციულად.

- საანგარიშო პერიოდში საარქივო სამმართველოს საჯარო მოსამსახურეთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა დარღვევისა და პასუხისმგებელი პირებისათვის დისციპლინური სახდელის დადების ფაქტს ადგილი არ ჰქონია;

- საარქივო სამმართველოს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილება არ მიუღია; საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას სამმართველო ეყრდნობოდა საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს და ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ '' საქართველოს კანონს;

- საარქივო სამმართველოს მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილება არ მიგვიღია, არ მომხდარა გადაწყვეტილების გასაჩივრება, შესაბამისად, ხარჯი არ გაწეულა.

პატივისცემით,

მაია ივანიშვილი

სამმართველოს უფროსი
ხელმძღვანელობა